

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: თურქული ფილოლოგია / Turkish Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: თურქული ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Arts
in Turkish Philology

სპეციალობა: თურქული ფილოლოგია/ Turkish Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი). სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 60 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო კურსები;
- 30 კრედიტი – არჩევითი კურსები;
- 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მიეცეს მაგისტრს თანამიმდევრული, სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ზოგადთეორიულსა და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით აღჭურვილი, ფართო თვალსაწიერის მქონე სპეციალისტის მოსამზადებლად ღრმა და სისტემური ცოდნით სამი პროფილით.

ერთია საენათმეცნიერო, რაც განხორციელებადია ლინგვისტური კონგლომერატის – თურქული ენების – შედარებითი გრამატიკის საკითხთა და თურქულ ენათა დიალექტებად კლასიფიკაციის კრიტერიუმთა შესწავლის, ოფიციალურსა და საქმიან მიმოწერაში დამკვიდრებული ნორმების ათვისების საფუძველზე, აგრეთვე პრესის ენის დაუფლების კვალობაზე, თანამედროვე ლიტერატურული და სამაუწყებლო ენის რიტუალური, საეტიკეტო მოდელების გაცნობით, ფრაზეოლოგიზმთა სიტუაციურ-კონტექსტური ანალიზით და სხვ;

მეორეა ფილოლოგიური რაკურსი, რაც მოიცავს სუფიზმის კარდინალური პრობლემების გათავისებას, შუა საუკუნეების თურქული პოეზიის ტიპურ სტრუქტურათა სისტემისა და ზოგადი მხატვრული მოდელის შესწავლას ტიპოლოგიურ ჭრილში; ძველი, ახალი და უახლესი თურქული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების სისტემური ცოდნას;

მესამეა ოსმანისტიკის სფერო, რომელსაც მაგისტრანტი ეცნობა არაბული გრაფიკის ოსმალეთში გამოყენებული სახეობებით, საქართველოს ისტორიის შესახებ ოსმალური წყაროების კვლევით და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი სფეროების ათვისებით და თურქოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობით მაგისტრანტს უვითარდება სამეცნიერო მუშაობის ჩვევა.

წარმოდგენილი პროგრამით მომზადებული მაგისტრი შუალედური ეტაპია ქართული თურქოლოგიური სკოლის ტრადიციების გასაგრძელებლად. თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი კონკურენტუნარიანი სპეციალისტია შესაბამისი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებში დასასაქმებლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი აღმოსავლეთმცოდნეობაში (თურქოლოგიის სპეციალობით); ასევე ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის ადმინისტრირების ანდა რომელიმე მიმართულებათმორისი (რეგიონმცოდნეობითი) პროფილის ბაკალავრის ხარისხი დამატებითი სპეციალობით - თურქოლოგია.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდები.
- უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო გამოცდა თურქულ ენაში B 2 დონე (იხ. დანართი, საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი).

სწავლის შედეგი:

წინამდებარე პროგრამით მომზადებული მაგისტრი შეძლებს თურქული ენის (ენების), ლიტერატურისა და ოსმალური პალეოგრაფია-დიპლომატიკის სფეროში შეძენილი ცოდნის გამოყენებას კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდოლოგიური და სხვა ამოცანების გადაწყვეტისას; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვას, ორგანიზებასა და წარმართვას. მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

• ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრი იძენს სისტემურ ცოდნას სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულსა (როგორცაა: თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თურქოლოგიური ენათმეცნიერება, ლექსმცოდნეობის ანალიზის პრინციპები და თურქული პოეტიკა, აღმოსავლური პოეზია და მისი ფილოსოფიურ - რელიგიური წყაროები, ოსმალური დიპლომატიკა და პალეოგრაფია) და პრაქტიკულ დისციპლინათა (როგორცაა: თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალურ-საქმიანი სტილი, სპეცკურსები თურქულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები და სხვ.) იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად, და რაც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული იძენს საენათმეცნიერო, ფილოლოგიურსა და ოსმანისტის კომპეტენციას თურქოლოგიის სფეროში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

სწავლის შედეგად მზადდება სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და საისტორიო გამოკვლევისა თუ კონცეფციის შეფასება, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება. მაგისტრი იძენს მულტიდისციპლინურ გარემოში შესაბამისი ცოდნის გამოყენებით პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტისა და სხვადასხვა საკითხებზე ათვისებული ინფორმაციის გამოყენების უნარს; მაგისტრი ერკვევა თურქოლოგიის წიაღში აღმოცენებულ პრობლემურ საკითხებში; შეუძლია არგუმენტაციების გათავისება და მათი შემაგრება უახლესი მეთოდების გამოყენებით. მაგისტრს აქვს შეძენილი კომპეტენციების სამეცნიერო ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა თუ პრაქტიკულ, კონკრეტულ გარემოში გამოყენების უნარი.

დასკვნის უნარი:

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ მაგისტრს გამოუმუშაოს პრობლემის გამოკვეთის, მისი კომპლექსურად შესწავლისა და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის უნარი. მაგისტრანტს ვაჩვენებთ ამა თუ იმ საკითხზე დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას, ხოლო განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზით მას უვითარდება დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. ახალი მოვლენების ანალიზის საფუძველზე მაგისტრანტს ეძლევა საშუალება, დაინახოს, გამოიმუშავოს მათში გარკვევისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. ამ უნარის წარმოჩენას ხელს შეუწყობს შემდეგი დისციპლინები: თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა, თურქეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი, თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორია და სხვ.

- **კომუნიკაციის უნარი:**

სწავლის პერიოდში მაგისტრანტი ეუფლება სათანადო სამეცნიერო აპარატს, რასაც იგი გამოიყენებს სამეცნიერო შეხვედრებზე საკუთარი აზრის ქართულად და თურქულად გადმოცემაში. ამ დროს მან არგუმენტირებულად უნდა წარმოაჩინოს საკომუნიკაციო თემა, კვლევის მიმდინარეობა. აქტივობის გასაძლიერებლად დიდი ყურადღება ეთმობა სამუშაო ჯგუფის ფორმატში სტუდენტის საკომუნიკაციო უნარის განვითარებას, რათა პროფესიულ სფეროებში მან თავისუფალი კომუნიკაცია შეძლოს. მაგისტრანტს დარგობრივ საკითხებზე დისკუსიის წარმართვისა და კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის უნარი უვითარდება. ამ უნარის განვითარებას ემსახურება შემდეგი საგნები: თურქოლოგიური ენათმეცნიერება, თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალურ-საქმიანი სტილი, სპეცკურსი თურქულ ენაში, თურქული პრესის ენა, თურქული ფრაზეოლოგია.

- **სწავლის უნარი:**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად შეძენილი ცოდნა და კვლევის უნარი მაგისტრს აძლევს დამოუკიდებელი ორიენტაციის, სამეცნიერო კვლევისა და პრობლემების გამოკვეთის შესაძლებლობას. ის განსაზღვრავს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის აუცილებლობას, რაც ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ გაიღრმავოს განათლება, განსაზღვროს კონკრეტული სფერო შემდგომი მუშაობისათვის და სტრატეგიულად დაგეგმოს შემდგომი სწავლის პროცესი. ამ უნარის განმავითარებელ დისციპლინებად მიგვაჩნია: აღმოსავლური პოეზია და მისი ფილოსოფიურ - რელიგიური წყაროები, საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორია, თურქული მიგრაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და სხვ.

- **ღირებულებები:**

ღირებულებებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, კრიტიკული განსჯა, დამკვიდრების გზების ძიება და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. უცხო და საკუთარი კულტურული ღირებულებების გაანალიზება - შეფასება მაგისტრანტს ჩამოყალიბებს ტოლერანტობას. მაგისტრმა უნდა შეძლოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. მას ამაში ხელს შეუწყობს ოსმალური დიპლომატიკა და პალეოგრაფია, თურქეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი, თურქოლოგიური ენათმეცნიერება, თურქული მიგრაცია დასავლეთ ევროპის

ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორია და სხვა პროგრამული დისციპლინები.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამისთვის ძირითადია სასწავლო პროცესში ლექტორისა და სტუდენტის ინტერაქტიული მონაწილეობა, რაც ხორციელდება სალექციო ფორმატში, სამუშაო ჯგუფებში, პრეზენტაციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, შუალედური და ფინალური შესაფასებისას. ამ ფორმატში ვიყენებთ სწავლებისა და სწავლის შემდეგ მეთოდებს:

1. ვერბალურ მეთოდს;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდს;
3. წერითი მუშაობის მეთოდს (ამონაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება);
4. დისკუსიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 _ ფრიადი, A; 81-90 _ ძალიან კარგი, B; 71-80 - კარგი, C; 61-70 - დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 - საკმარისი, E; 41-50 - ვერ ჩააბარა, FX; 0-40- ჩაიჭრა, F. ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მარიკა ჯიქია

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს:

- უმაღლეს საწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დამხმარე-ტექნიკური საქმიანობისთვის,
- სამეცნიერო დაწესებულებებში (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებში),
- გამომცემლობებში,
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში,
- ბიბლიოთეკებში,
- არქივებსა და მუზეუმებში,
- სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის. მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალია.

პროგრამის შემუშავების პროცესში მოვიწვიეთ თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების ადმინისტრაციის (TIKA-ს) კოორდინატორის მოადგილე საქართველოში, რომელიც გაეცნო ჩვენს მაგისტრანტებს, გაესაუბრა მათ იმ მიზნითაც, რომ წარმოადგენა შექმნოდა კონკრეტულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებზე, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. TIKA-ს მოადგილემ დახმარება აღგვითქვა მათთვის სტაბილური დასაქმების და არა მხოლოდ დროებითი სამუშაო ადგილების გამოძებნაში.

დამატებითი ინფორმაცია:

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 10 სტუდენტს.

თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კონკურსში მოპოვებული სტიპენდიებით სტამბოლის, ანკარისა და იზმირის უნივერსიტეტებში თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო სტუდენტების ნაწილი გადის მაგისტრატურის სრულ კურსს.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი #1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:

	პროგრამაში მონაწილე ლექტორები	აკადემიური სტატუსი	სამეცნიერო ხარისხი
1	ჯიქია მარიკა	პროფესორი	ფილ. მეცნ. დოქტორი
2	ბჟალავა ელისაბედ	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
3	ლორთქიფანიძე ქეთევან	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
4	კაჭარავა ნანა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
5	ალფენიძე თამარ	ასისტენტ პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
6	ჯაველიძე ელიზბარ	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. დოქტორი
7	აბულაძე ცისანა	მოწვეული სპეციალისტი	ისტ. მეცნ. დოქტორი
8	კვანტალიანი ელიდა	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
9	გურგენიძე ნუნუ	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
10	მაჩიტაძე ელისაბედ	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
11	ბუსკივაძე მზისა	თსუ ენების ცენტრის პედაგოგი	ფილ. დოქტორი

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის **CV** იხ. დანართი #3.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

თურქოლოგიის დეპარტამენტს თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის კარგი მატერიალური რესურსები აქვს. გარდა საერთო საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო და კომპიუტერული რესურს-ცენტრებისა, დეპარტამენტშია თურქულენოვანი ბიბლიოთეკა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის წიგნადი ფონდით. თურქოლოგიის დეპარტამენტი აღჭურვილია სწავლების ყოველგვარი აუდიო-ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი და სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები). თურქეთის საელჩოს მიერ სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, იგზავნება სახელმძღვანელოები და სამეცნიერო-პერიოდული გამოცემები; თურქეთის საელჩოს ეგიდით, თურქეთის რესპუბლიკის

განათლების სამინისტროსა და თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების ადმინისტრაციის (TIKA-ს) სტიპენდიებით სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა ტიპის მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირებებით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **თურქოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.